ხელშეკრულება N 5/05/2
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 5 მაისი 2014 წელი

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 52-ე მუხლის მე-6 პუნქტის, საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული ``გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის`` მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით(CPV72400000; 51300000)

ერთის მხრივ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია წარმოდგენილი თავმჯდომარის უფლებამოსილი პირის (2014 წლის 8 იანვრის ბრძანება №01-02) დაგეგმვისა და სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის ,,ეფროსის ოთარ ბუსკივაძის სახით, შემდგომში „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, შპს „მიკრონეტი" წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ვახტანგ სიხარულიძის სახით, შემდგომში „მიმწოდებელი", ურთიერთშეთანხმების საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი უზრუნველყოფს 2014 წლის 5 მაისიდან-5 ივლისის ჩათვლით საქრთველოს ცენტრალური კომისიის 4(ოთხ) საოლქო საარჩევნო კომისიას(მისამართები: ქ. თბილისი, ვ. გორგასლის N 115; ქ. ლენტეხი, თამარ მეფის ქ. N31; ქ. ცაგერი, შ. რუსთაველის ქ. N41; ქ. მესტია, თამარ მეფის ქ. N14) **ინტერნეტ მომსახურებას**(7მგ/წმ) და 3(სამი) საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციულ შენობაში(მისამართები: ქ. თბილისი, ვ. გორგასლის N 115; ქ. ლენტეხი, თამარ მეფის ქ. N31; ქ. ცაგერი, შ. რუსთაველის ქ. N41) **ინტერნეტის ინსტალაციას** თანმხლები მონტაჟით (შემდგომში „მომსახურება"), ხოლო შემსყიდველი იღებს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2 გლობალურ ინტერნეტთან დაშვების სიჩქარე 5-დან 7 მბ/წამამდე.

1.3 საქართველოში მოქმედი ინტერნეტ პროვაიდერების კუთვნილ სერვერებზე განთავსებულ რესურსებთან დაშვების სიჩქარე 5-7 მბ/წმ-მდე;

2. მომსახურების ღირებულება

2.1. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით შეადგენს **3450,00** (სამი ათას ოთხას ორმოცდაათი) ლარი, აქედან:

2.1.1. ყოველთვიური საბონენტო გადასახადი პაკეტზე 5-7 მბ/წმ-მდე - 300,00 ლარი თვეში. სულ: 600,00 ლარი ერთ აბონენტზე.

2.1.2. 2014 წლის 5 მაისიდან- 5 ივლისის ჩათვლით - 2400,00 ლარი. ინსატალაცია 1050,00 ლარი.

2.2. შესყიდვის ობიექტის მოცულობა და ერთეულის ფასი მოცემულია დანართში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. მომსახურების მიღება–ჩაბარება

3.1. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2. მიღება–ჩაბარებას ახორციელებენ სათანადო უფლებამოსილი პირები, რომლებიც აფორმებენ შესაბამის აქტს გაწეული მომსახურების მიხედვით.

4. მომსახურების მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 მომსახურება ხორციელდება 2014 წლის 5 მაისიდან-2014 წლის 5 ივლისის ჩათვლით.

4.2. მომსახურების გაწევის ადგილია: (მისამართები: ქ. თბილისი, ვ. გორგასლის N 115; ქ. ლენტეხი, თამარ მეფის ქ. N31; ქ. ცაგერი, შ. რუსთაველის ქ. N41; ქ. მესტია, თამარ მეფის ქ. N14)

5. გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული მომსახურება იქნება ხარისხიანი და შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს, ინტერნეტის ხარვეზებით მიწოდების შემთხვევაში გასწორებას (ხარვეზის აღმოფხვრას) უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

MICRONET
GEORGIA "MICRONET" LTD
204557960

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება, ყოველთვიურად, გაწეული მომსახურების მიხედვით, მიღება–ჩაბარების აქტის და შესაბამისი ანგარიშ–ფაქტურის წარდგენიდან 10 დღის ვადაში, ხოლო ინსტალაციის საფასურს შემსყიდველი გადაიხდის ინტერნეტის მიწოდების საფასურთან ერთად.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელედება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1. არავითარი გადახრა და ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშბა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალიწინებული შემთხვევებისა.

7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

8.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

9. ხელეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცეში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებების, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ შელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობითდადგენილი წესით.

10.2.შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით ანგარიშწორების ვადების დარღვევისთვის გადასახდელი თანხის 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღის ოვის.

10.3. მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლოს სახით 4.1. პუნქტით გათვალისწინებული მიწოდების ვადების დარღვევისთვის დაგვიანებით გაწეული მომსახურების 0.1. პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. შემსყიდველს შეუძია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისთვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელლ შელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გასწიოს მომსახურება ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2. ხელშეკურლების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

MICRONET
204557960
GEORGIA "MICRONET" LTD

11.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.4. ამ მუხლის 11.3. პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული მომსახურების ღირებულება.

12.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1. შემსყიდველს უფლება აქვს გადაამოწმოს მომწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება. კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის წარმომადგენელი: **გ. იაშვილი**, სოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეების (N4; N45; N46; N47) მიერ, ოლქში განხორციელებული ინტერნეტ „მომსახურეობის" და ინტერნეტ აპარატურის ინტალაციის მონტაჟის შესრულებული „მომსახურების" შესაბამისად.

12.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნემისმიერი ნაკლის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლის წერილობით აცნობებს მიმწიდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

12.3. გამოვლენილი ნაკლის, რომელიც გამოწვეული იქნება მომწოდებლის მიზეზით აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.4. ხელშეკრულებაზე ხელისმომწერი პირები ადასტურებენ, რომ არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში.

13. ფორს–მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არ არის ფორს–მაჟორული გარემოებების შედეგი.

13.2. ამ მუხლის მიზნებისთის „ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას იმით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3. ფორს–მაჟორული გარ[illegible]ოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნასიკრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებეის და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრს, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისგან.

14. სადავო საკითხების გადაწყვეტა

14.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირადაპირი არაოფიციალური მილაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30(ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგავრებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს სასამართოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალიწინებული წესით.

203861509

MICRONET
204557960
GEORGIA "MICRONET" LTD

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 აგვისტომდე.

15.2. ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

16.1. მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	**შპს „მიკრონეტი“**
ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე–13 კმ საიდენტიფიკაციო კოდი:203851509 ტელ: (995 32) 2510051 ანგ N200122900; კოდი 220101222	ქ.თბილისი, თელავის ქ. 20 საიდენტიფიკაციო კოდი: 204557960 ტელ: (995 32)2194949 ს/ს „თიბისი ბანკი“ TBCBGE22 ანგ N GE66TB0839236080100002
ოთარ ბუსკივაძე	**ვახტანგ სიხარულიძე**
დაგეგმვისა და სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი	**გენერალური დირექტორი**

დანართი

N	მოკლე აღწერა	CPV კოდი	საც. ფასი	საერ. ფასი
1	ინტერნეტ მომსახურება(7მგ/წმ) ქ. ლენტეხი. 05.05.2014 წ. -05.07.2014.წ	72400000	300,00	600,00
2	ინსატალაცია მონტაჟი. ქ. ლენტეხი. 05.05.2014 წ.	51300000	350,00	350,00
3	ინტერნეტ მომსახურება(7მგ/წმ)ქ. ცაგერი 05.05.2014 წ. -05.07.2014.წ	72400000	300,00	600,00
4	ინსატალაცია მონტაჟი. ქ. ცაგერი. 05.05.2014 წ.	51300000	350,00	350,00
5	ინტერნეტ მომსახურება(7მგ/წმ)ქ. მესტია 05.05.2014 წ. -05.07.2014.წ	72400000	300,00	600,00
6	ინტერნეტ მომსახურება(7მგ/წმ) ქ. თბილისი, კრწანისი. 05.05.2014 წ. -05.07.2014.წ	72400000	300,00	600,00
7	ინსატალაცია მონტაჟი. 05.05.2014 წ.	51300000	350,00	350,00
სულ:				3450,00

„შემსყიდველი“

საქართველოს ცენტრალური
საარჩევნო კომისია

ოთარ ბუსკივაძე

დაგეგმვისა და სახელმწიფო შესყიდვების
დეპარტამენტის უფროსი

„მიმწოდებელი“

შპს „მიკრონეტი“

ვახტანგ სიხარულიძე

გენერალური
დირექტორი